



# შ.პ.ს. დიპლომირებული დამთავრებული ბიუროს აუდიტორული ფირმა "ირმა"

## Auditor Firm "IRMA" Ltd.

08.12.1999 LICENSE №071 CERTIFICATE Z №5/009 15.09.2008

სერტიფიკატი №5/009 ლიცენზია №071 08.12.1999

საქართველო, ქ.თბილისი ფალიაშვილის ქ. №85

Georgia, Tbilisi, Paliashvili St. №85

ტელ: (995.32) 33-44-60 855-208-737

Tel.: (995.32) 33-44-60 855-208-737

No 22-011

22-03 2011

### აუდიტორული დასკვნა

წლიური ბალანსის შემოწმების შესახებ

შ.პ.ს. აუდიტორული ფირმა "ირმა"-ს აუდიტორმა ჯ. გაგოშვილმა დადებული ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოა საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"-ის 2010 წლის საბროკერო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება.

საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"-ი რეგისტრაციაში გატარებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო კოდით №205286457.

საზოგადოების დირექტორი თ. ირემაშვილი

იქნა შემოწმებული საღაროს ანგარიშები, ხელფასის დარიცხვის უწყისები, გაწეული საბროკერო საქმიანობიდან მიღებული ამონაგების ანგარიშები, გაწეული ხარჯების აღრიცხვის სისწორე, ანგარიშგაღებულ პირთა სააგანსო ანგარიშები, ანგარიშსწორება საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდებთან. აგრეთვე შემოწმდნენ საბუღალტრო ჟურნალები და დავთრები, ბუღალტრული ბრუნვითი უწყისები.

აუდიტორი, სარგებლობდა რა აუდიტის პერიოდში ბასს-ით, მოქმედი სსპ-ით და დამკვეთთან შეპირად შეთანხმებული პროგრამით, შემოწმების შედეგად დაადგინა:

- საბუღალტრო აღრიცხვა წარმოებს ბასს-ის და სსპ-ის მექანიზმით მთლიანად მითხოვების მიხედვით (აღრიცხვა წარმოებს პროგრამა „ორის“-ის ელექტრონული ეგრსიით).

- საბროკერო საქმიანობის ამსახველი ოპერაციები დასრულებული ფორმით არიან წარმოდგენილი ბრუნვითა უწყისში და ბალანსში.

- საქმიანობაზე გაწეული ხარჯები დასტურდებიან სათანადო პირველადი საბუთებით.

- მიღებული წლიური შედეგის ამსახველი მონაცემები შეესაბამება მთავარ დაუთარს და იმავე პერიოდის ბალანსს, კერძოდ ბასს-ის მიხედვით მიღებულია დადებითი შედეგი - 1060017,0 ლარის ოდენობით;

- საკუთარი კაპიტალი შეადგენს თანხას - 1038699,0 ლარი;

- ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ არის დასრულებული.

შ.პ.ს. აუდიტორული ფირმა "ირმა"-ს აუდიტორი ჯ. გაგოშვილი ადასტურებს, რომ საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"-ის მიერ წარმოდგენილი 2010 წლის ბუღალტრული ბალანსი უტყუარია, ყველა არსებულ ასპექტში ობიექტურად ასახავს საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობას 2011 წლის 1 იანვრისათვის.

მიეკვს დადებითი დასკვნა საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"-ის 2010 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრულ ბალანსს.

შპს აუდიტორული ფირმა "ირმა"-ს

გენ. დირექტორი

*[Handwritten Signature]*

ჯ. გაგოშვილი



საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"

ფინანსური ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2010

საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"

**ფინანსური ანგარიშგება**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**შინაარსი**

ბალანსი	3
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	4
ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ	5
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	6

**ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

<i>შენიშვნა</i> 1	ზოგადი ასპექტები	7
<i>შენიშვნა</i> 2	ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული მნიშვნელოვანი პრინციპები	7-8
<i>შენიშვნა</i> 3	ფული და ფულის ექვივალენტები	9
<i>შენიშვნა</i> 4	მოკლევადიანი მოთხოვნები	9
<i>შენიშვნა</i> 5	გრძელვადიანი ინვესტიციები	9
<i>შენიშვნა</i> 6	არამატერიალური აქტივები	9
<i>შენიშვნა</i> 7	მიმდინარე ვალდებულებები	10
<i>შენიშვნა</i> 8	გრძელვადიანი ვალდებულებები	10
<i>შენიშვნა</i> 9	საოპერაციო შემოსავლები	10
<i>შენიშვნა</i> 10	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
<i>შენიშვნა</i> 11	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	11
<i>შენიშვნა</i> 12	ინფორმაცია კლიენტების რაოდენობაზე	11
<i>შენიშვნა</i> 13	ინფორმაცია კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულობაზე	12

**საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"**

**ბალანსი**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

<b>აქტივები</b>	<b>შენიშვნა</b>	<b>31.12.2010</b>	<b>31.12.2009</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
ფული და ფულადი ექვივალენტები	<b>3</b>	175 724	136 475
დეპოზიტური ანგარიშები რეზიდენტ ბანკებში	<b>3</b>	846 437	-
მოკლევადიანი მოთხოვნები	<b>4</b>	12 122	34
<i>სულ</i>		<b>1 034 283</b>	<b>136 508</b>
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	<b>5</b>	200 601	600
არამატერიალური აქტივები	<b>6</b>	786	978
<i>სულ</i>		<b>201 387</b>	<b>1 578</b>
<b>აქტივები</b>		<b>1 235 670</b>	<b>138 086</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>			
კლიენტებთან წარმოქმნილი ვალდებულებები	<b>7</b>	33 706	3
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<b>7</b>	4 613	749
მიმდინარე წლის მოგების გადასახადი	<b>7</b>	158 530	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	<b>7</b>	4	5
<i>სულ</i>		<b>196 853</b>	<b>757</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
გადავადებული მოგების გადასახადი	<b>8</b>	118	-
<i>სულ</i>		<b>118</b>	-
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>		<b>196 970</b>	<b>757</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი		140 000	140 000
გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი		(2 670)	-
მიმდინარე პერიოდის მოგება / ზარალი		901 369	(2 670)
<i>სულ</i>		<b>1 038 699</b>	<b>137 330</b>
<b>პასივები</b>		<b>1 235 670</b>	<b>138 086</b>
		-	-

დირექტორი: ----- / თ. ირემაშვილი /

**საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"**

**მოგებისა და ზარალის ანგარიშგება**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	<b>შენიშვნა</b>	<b>01.01.2010-დან 31.12.2010-ჩათვლით</b>	<b>01.01.2009-დან 31.12.2009-ჩათვლით</b>
<b>საოპერაციო შემოსავლები საბროკერო საქმიანობიდან</b>			
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	<b>9</b>	108 603	5 224
ფასიანი ქაღალდების ფლობის / შენახვის საკომისიო	<b>9</b>	10 539	-
ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი / ზარალი	<b>9</b>	998 433	-
სხვა შემოსავალი საბროკერო მომსახურებიდან	<b>9</b>	1 195	333
<b>სულ:</b>		<b><u>1 118 769</u></b>	<b><u>5 557</u></b>
<b>საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>			
ხელფასის ხარჯი	<b>10</b>	64 036	1 100
პერსონალის დაზღვევა	<b>10</b>	300	-
გენერალური და ადმინისტრაციული ხარჯები	<b>10</b>	7 371	678
საფონდო ბირჟის, დეპოზიტარის და რეგისტრატორის ხარჯები	<b>10</b>	16 243	5 689
ცვეთა / ამორტიზაცია	<b>10</b>	192	32
საგადასახადო ხარჯები	<b>10</b>	9	705
სხვა ხარჯები	<b>10</b>	3 592	23
<b>სულ:</b>		<b><u>91 743</u></b>	<b><u>8 227</u></b>
		<b><u>1 027 026</u></b>	<b><u>(2 670)</u></b>
<b>საოპერაციო მოგება (ზარალი):</b>			
საპროცენტო შემოსავალი	<b>11</b>	33 456	-
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი (ზარალი)	<b>11</b>	(465)	-
<b>არასაოპერაციო მოგება (ზარალი):</b>		<b><u>32 991</u></b>	<b><u>-</u></b>
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b><u>1 060 017</u></b>	<b><u>(2 670)</u></b>
მოგების გადასახადი		158 648	
<b>წმინდა მოგება</b>		<b><u>901 369</u></b>	<b><u>(2 670)</u></b>

დირექტორი: ----- / თ. ირემაშვილი /

**საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"**

**ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	01.01.2010-დან 31.12.2010- ჩათვლით	01.01.2009-დან 31.12.2009- ჩათვლით
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მოგება დაბეგვრამდე	1 060 017	(2 670)
ცვეთა	192	32
<b>საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე:</b>	<b>1 060 209</b>	<b>(2 638)</b>
მოკლევადიანი მოთხოვნების შემცირება (ზრდა)	(12 088)	(34)
მოკლევადიანი ვალდებულებები კლიენტებთან ზრდა (შემცირება )	33 702	3
სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება )	3 865	749
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა (შემცირება )	(1)	5
<b>საოპერაციო მოგებიდან მიღებული ფულადი სახსრები:</b>	<b>25 478</b>	<b>723</b>
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>1 085 687</b>	<b>(1 915)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
საფონდო ბირჟის აქციის შეძენა	-	(600)
საბუღალტრო პროგრამის შეძენა	-	(1 010)
სხვა საზოგადოებების წილის შეძენა	(200 001)	-
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(200 001)</b>	<b>(1 610)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>		
კაპიტალის გაზრდა	-	140 000
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>-</b>	<b>140 000</b>
<b>ფულადი ნაკადების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა(შემცირება)</b>	<b>885 686</b>	<b>136 475</b>
<b>ფულადი ნაკადების და მისი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში</b>	<b>136 475</b>	<b>-</b>
<b>ფულადი ნაკადების და მისი ექვივალენტები ერიოდის ბოლოს</b>	<b>1 022 161</b>	<b>136 475</b>

დირექტორი: ----- / თ. ირემაშვილი/

საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01/01/2009 მდგომარეობით	-	-	-
ბ რ უ ნ ვ ა 01/01/2009-დან - 31/12/2009-ჩათვლით	140 000	(2 670)	137 330

ნაშთი 31/12/2009 მდგომარეობით	140 000	(2 670)	137 330
-------------------------------	---------	---------	---------

ნაშთი 01/01/2010 მდგომარეობით	140 000	(2 670)	137 330
ბ რ უ ნ ვ ა 01/01/2010-დან - 31/12/2010-ჩათვლით	-	901 369	901 369

ნაშთი 31/12/2010 მდგომარეობით	140 000	898 699	1 038 699
-------------------------------	---------	---------	-----------

დირექტორი: ----- / თ. ირემაშვილი /

## საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

#### შენიშვნა - 1 - ზოგადი ასპექტები

საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"-ის რეგისტრირებულია თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ 2009 წლის 02 სექტემბერს.

კომპანიის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საბროკერო საქმიანობა საფონდო ბაზრებზე.

შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"-ის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი # 74

საბროკერო კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 140 000 ლარს.

საბროკერო კომპანიის 100 % -იანი დამფუძნებელია სს "ლიბერთი ბანკი".

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები და წარმომადგენლობები.

საზოგადოებას ანგარიშები გახსნილი აქვს: სს "ლიბერთი ბანკი"-ში, ბანკი "ქართუ" -ში, ს/ს "საქართველოს ბანკი"-ში, სს "თიბისი ბანკი"-ში, სს "ვითიბი ბანკი"-ში და სს "ტაოპრივატბანკში"

#### შენიშვნა - 2 - ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული

##### მნიშვნელოვანი პრინციპები

##### *ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*

კომპანიის აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- \* ბალანსს;
- \* მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას;
- \* კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
- \* ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- \* ახსნა-განმარტებით შენიშვნებს;

კომპანიის ბალანსი დგება ლიკვიდობის პრინციპით, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება - ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება - ირიბი მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია შემდეგი ძირითადი სააღრიცხვო პრინციპების დაცვით:

- \* ფუნქციონირებადი საწარმო;
- \* დარიცხვის პრინციპი;
- \* წარდგენის უცვლელობა;
- \* არსებითობა;

ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერებს, რომლებიც შესაბამისაა საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს.

დირექტორი: ----- /თ. ირემაშვილი/



**საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

---

---

***საანგარიშო პერიოდი***

საანგარიშო პერიოდი კომპანიისათვის არის კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

***სამუშაო ვალუტა***

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით.

***ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა***

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც კომპანიის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია ფულადი სახსრებით და მისი ექვივალენტებით, მოთხოვნებით და ვალდებულებებით, ფინანსური ინვესტიციებით და სხვა ვალდებულებებით.

***ფულადი სახსრები***

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

***ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები***

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, ხოლო ბალანსში აისახება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის (ამორტიზაციის) გამოკლებით. ცვეთა (ამორტიზაცია) გამოიანგარიშება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო ვადის გათვალისწინებით.

***საკუთარი კაპიტალი***

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას.

***გადასახდელი ვალდებულებები***

გადასახდელი ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელ თანხებს.

***შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება***

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხდება დარიცხვის პრინციპით. კომპანიის შემოსავლები მოიცავს საბროკერო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებსა და დეპოზიტურ ანგარიშებზე დარიცხულ პროცენტებს; კომპანიის ხარჯები - პერსონალის, საფონდო ბირჟის, დეპოზიტარის, რეგისტრატორისა და სხვა ხარჯებს.

***გადასახადები***

გადასახადების გაანგარიშების საფუძველია საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

დროებითი სხვაობა, სააღრიცხვო მოგების გადასახადსა და საგადასახადო მიზნებით გამოანგარიშებულ, ბიუჯეტში გადასახდელ მოგების გადასახადს შორის აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების სახით.

დირექტორი: ----- / თ. ირემაშვილი/

**საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**შენიშვნა - 3 - ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2010		31.12.2009	
	საკუთარი ანგარიშები	კლიენტების ანგარიშები	საკუთარი ანგარიშები	კლიენტების ანგარიშები
სს "ლიბერთი ბანკი"	31 400	11 014	135 461	558
ბანკი "ქართუ"	274	-	175	-
სს "საქართველოს ბანკი"	306 670	1 428	-	-
სს "თიბისი ბანკი"	223	20 347	211	70
ბანკი "ვითიბი"	-	-	-	-
სს "ტაოპრივატბანკი"	650 804	-	-	-
	<b>989 372</b>	<b>32 789</b>	<b>135 847</b>	<b>627</b>
	-	-	-	-

**შენიშვნა - 4 - მოკლევადიანი მოთხოვნები**

	31.12.2010	31.12.2009
მოთხოვნები კლიენტების მიმართ	1 485	34
მოთხოვნები საბროკეროების მიმართ	10 637	-
<i>სულ მოკლევადიანი მოთხოვნები:</i>	<b>12 122</b>	<b>34</b>
	-	-

**შენიშვნა - 5 - გრძელვადიანი ინვესტიციები**

	31.12.2010	31.12.2009
სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" აქციები	600	600
მონაწილეობა სხვა საზოგადოებებში	200 001	-
<i>სულ გრძელვადიანი ინვესტიციები:</i>	<b>200 601</b>	<b>600</b>
	-	-

**შენიშვნა - 6 - არამატერიალური აქტივები**

	31.12.2010	31.12.2009
პროგრამის ღირებულება	786	978
<i>სულ არამატერიალური აქტივები:</i>	<b>786</b>	<b>978</b>
	-	-

დირექტორი: ----- / თ. ირემაშვილი /

**საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**შენიშვნა - 7 - მიმდინარე ვალდებულებები**

	<b>31.12.2010</b>	<b>31.12.2009</b>
კლიენტებთან წარმოქმნილი ვალდებულებები	33 706	3
სს "ლიბერთი ბანკი"	743	500
სს "ბი ჯი კაპიტალი"	44	-
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	135	91
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრ. დეპოზიტარი"	3 693	158
მიმდინარე წლის მოგების გადასახადი	158 530	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	4	5
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b><u>196 853</u></b>	<b><u>757</u></b>
	-	-

**შენიშვნა - 8 - გრძელვადიანი ვალდებულებები**

	<b>31.12.2010</b>	<b>31.12.2009</b>
გადავადებული მოგების გადასახადი	118	-
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b><u>118</u></b>	<b><u>-</u></b>
	-	-

**შენიშვნა - 9 - საოპერაციო შემოსავლები**

	<b>31.12.2010</b>	<b>31.12.2009</b>
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	108 603	5 224
ფასიანი ქაღალდების ფლობის / შენახვის საკომისიო	10 539	-
აქციების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი (ზარალი)	1 007 043	-
სახელმწიფო ფ/ქ რეალიზ-დან მიღ. შემოსავალი (ზარალი)	(8 609)	-
სხვა შემოსავალი საბროკერო მომსახურებიდან	1 195	333
<b>სულ საოპერაციო შემოსავლები</b>	<b><u>1 118 769</u></b>	<b><u>5 557</u></b>
	-	-

დირექტორი: ----- / თ. ირემაშვილი/

**საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**შენიშვნა - 10 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31.12.2010	31.12.2009
ხელფასის ხარჯი	64 036	1 100
პერსონალის დაზღვევა	300	-
გენერალური და ადმინისტრაციული ხარჯები	7 371	678
<i>ოფისის იჯარა</i>	<i>6 900</i>	<i>500</i>
<i>ბანკის მომსახურების საკომისიო</i>	<i>471</i>	<i>178</i>
საფონდო ბირჟის, დეპოზიტარის და რეგისტრატორის ხარჯე	16 243	5 689
<i>საქართველოს საფონდო ბირჟისა და დეპოზიტარის საწევრო</i>	<i>1 500</i>	<i>5 375</i>
<i>დადებული გარიგებების საკომისიო - ბირჟა/დეპოზიტარი</i>	<i>6 240</i>	<i>314</i>
<i>რეგისტრატორის ხარჯები</i>	<i>3 693</i>	-
<i>საკომისიო ხარჯები ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვიდან</i>	<i>4 811</i>	-
ამორტიზაცია	192	32
საგადასახადო ხარჯები	9	705
სხვა ხარჯები	3 592	23
<b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>91 743</b>	<b>8 227</b>
	-	-

**შენიშვნა - 11 - არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები**

	31.12.2010	31.12.2009
საპროცენტო შემოსავალი	33 456	-
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი (ზარალი)	(465)	-
<b>სულ არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები</b>	<b>32 991</b>	<b>-</b>
	-	-

**შენიშვნა - 12 - ინფორმაცია კლიენტების რაოდენობაზე**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 864 კლიენტი.

დირექტორი: ----- / თ. ირემაშვილი/

საბროკერო კომპანია შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

---

---

**შენიშვნა - 13 - ინფორმაცია კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულობაზე**

2010 წლის განმავლობაში კლიენტების ტრანზაქციების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 28,845,700 ლარი 2,209,041,947 ცალ აქციაზე.

აქედან სს "ლიბერთი ბანკის" აქციების რაოდენობა გახლდათ 347,374,421 ცალი;

სს "ლიბერთი ბანკის კაპიტალში პირობითი მონაწილეობის ვალდებულებები" - 1,861,473,343 ცალი;

სს "კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქტა"-ს აქციების რაოდენობა - 192,154 ცალი;

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციები - 529 ცალი;

საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია - 1,500 ცალი.

დირექტორი: ----- / თ. ირემაშვილი/